ქ.თბილისი, სოფელი თხინვალა, ბურღების მიწა (საკადასტრო კოდ. №72.16.33.052) მშენებლობის ნებართვის საპროექტო დოკუმენტაცია, ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოდინამიკური კვლევების შედეგები

1. შესავალი

შპს „ლისი ეკო ჰილს“-ის დირექტორის ნინი მელაძის მომართვის საფუძველზე შპს „გლობუსი“-ს ინჟინერ-გეოლოგმა ქ. თბილისში, სოფელი თხინვალა, ბურღების მიწაზე, გამოყოფილ უბანზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს სამშენებლო უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და მშენებლობის ნებართვისთვის საპროექტო დოკუმენტაციის საკითხის გადაწყვეტა.

საკვლევ უბანზე წინა წლებში საინჟინრო გეოლოგიური კვლევები არ არის ჩატარებული.

საკვლევი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე წინა წლებში ჩატარებული იქნა მთელი რიგი საინჟინრო გეოლოგიური კვლევებისა, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნა წინამდებარე დასკვნის შედგენისას.

საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, „გრგ“-ს საპროექტო დოკუმენტაციის საკითხების გადაწყვეტის ფარგლებში, ნორმატიული დოკუმენტების ს.ნ და წ 1.02.07-87 და პ.ნ 02.01-08 მოთხოვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით, გამოყენებული იქნა უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე ადრე ჩატარებული სამთო სამუშაოების შედეგები.

გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა თან ერთვის წინამდებარე დასკვნას.

ტოპოძირად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმა მასშტაბით 1:1000-თან.

საველე სამუშაოები ჩაატარა ინჟინერ გეოლოგმა თ. ჭულუხაძემ

სამშენებლო უბანი დაათვალიერა და წინამდებარე დასკვნა შეადგინა ინჟ. გეოლოგმა თ. ჭულუხაძემ.

2. ზოგადი ნაწილი

გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

საკვლევი ტერიტორია გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოების მანგლისი-ლისის ქვეზონის, ლისის ანტიკლინის ჩრდილო-დასავლეთ ფერდზე.

საკვლევი ტერიტორია ხასიათდება ჩრდილოეთის ექსპოზიციის ტექნოგენური რელიეფით. რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია ლისის ტბა. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. ლისის ტბის მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, ღელეების ვიწრო ხეობებს, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ, იკვებება თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლებით. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში იცის. თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით.

ტოპო გეგმის თანახმად ტერიტორიის აბსოლიტური ნიშნულები 647.03მX651.47მ-ის ფარგლებში იცვლება. საკვლევი უბანი წარმოადგენს ინდივიდუალირი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების განსათავსებელ ტერიტორიას, რომელიც შემოსაზღვრულია სხვადასხვა შენობა-ნაგებობებით და საკარმიდამო ნაკვეთებით.

გეომორფოლოგიურად მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი განთავსებულია სოფელ თხინვალაში, ლისის ანტიკლინის სამხრეთ ფერდზე. თანამედროვე რელიეფის დონემდე შევსებულია მეოთხეული ასაკის თიხნაროვანი გრუნტების მძლავრი საფარით.

უბნის რელიეფი დახრილია ჩრდილოეთის მიმართულებით, დაფარულია ბალახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაციული მასალა არსებობს, როგორც საქართველოს ფარგლებში ჩატარებული რეგიონალური ხასიათის 1:200000 მასშტაბის კვლევების, ასევე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების სახით. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1985-1990 წლებში ჩატარებული 1:25000 მასშტაბის სპეციალურ ანგარიშში (ა. ცაგურიშვილი და სხვები, 1990 წელი). სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ მოძრაობების შესწავლას მიეძღვნა ალ. ჯანელიძის შრომაში: „თბილისის მეწყერები და მეწყრული მოვლენების მნიშვნელობა“ 1949წ. სხვადასხვა დროის ოროგენეტიკურ შესწავლას მიეძღვნა ალ. თვალჭრელიძის ნაშრომი „თბილისის მიდამოების ნაოჭები“ 1949წ. თბილისის ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგები განზოგადებული აქვს პროფ. გ. ჯაფარიძეს ნაშრომში: „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“ 1974წ.

ჰიდროგეოლოგიური კვლევები ჩატარებულია გასული საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში (ი. ბუაჩიძე, დ. კაჭარავა, გ. ჩხაიძე და სხვები). ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა კვლევები და გამოიცა 1:200000 მასშტაბის სახელმწიფო

ჰიდროგეოლოგიური რუკა (ლ. ხარატიშვილი, ლ. ვარატინცევა), რომელშიდაც მოქცეულია საკვლევი ტერიტორია.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების მიხედვით (ე. გამყრელიძე, 2000წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-დეა, უშუალოდ უბანზე ამ ნალექების მიმართულების აზიმუტია 200-210 გრადუსი, დახრის კუთხე 10-30 გრადუსი. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია.

თბილისსა და მის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ტბიური ნალექები. ახალგაზრდა (თანამედროვე) ალუვიური ნალექები თიხნარებისაგან, კენჭებისა და ქვიშნარებისგან შედგება. საკვლევ უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე უარყოფითი ფიზიკურ-გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ შეიმჩნევა. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევ უბანზე გრუნტის წყლების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია. ადრე ჩატარებული საინჟინრო-გელოლგიური კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია გეოლოგიური გამონამუშევრების (შურფების) სვეტების და უბნის განივი და გრძივი ლითოლოგიურ-გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, მიწის ზედაპირიდან 0.1- 0.70 მეტრის სიღრმემდე განვითარებულია მეოთხეული ნაყარი გრუნტი, მიწის ნიადაგი. 0.7 – 3.5 მეტრის სიღრმემდე გავრცელებულია დელუვიურ-პროლივიური (dpQ_{IV}) ნალექები წარმოდგენილი ყავისფერიდან მუქ შავ ფერამდე, ვიზუალურად მყარი კონსისტენციის, თიხნარის მოყვითალო ფერის შუაშრეებიანი ($h = 0.70$ მეტრი) ხვინჭის, ღორღის და კენჭების 10% ჩანართებიანი მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხები. თიხები გამოფიტვის შედეგად იცვლიან ფერს და მოყავისფრო - შოკოლადის ფერს იძენენ, ან მოყვითალო - მურა შეფერილობას ღებულობენ. მათში აღინიშნება თაბაშირის ფირფიტები ან კრისტალები. ხშირად გვხვდება სფეროსიდორიტული კონკრეციები. თიხები და სუბარგილიტები მუქი მოშავო ფერისანი არიან, თხელი და საშუალოშრეებრივი. ზემოთაღწერილი ნალექები ზემოდან გადაფარულია 0.70 მეტრის სიმძლავრის ნიადაგის ფენით (ფენა 1).

თიხნაროვანი გრუნტის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 3.00-3.50 მეტრის სიღრმიდან გავცელებულია ზედა ეოცენის მასიური ქვიშაქვებისა და სუბარგილიტების მორიგეობა, ეგრეთწოდებული ძირითადი კლდოვანი ქანი.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია ხასიათდება გრუნტის წყლის მცირე რაოდენობით. გრუნტის წყალი გამოვლენილი არის ჭაბურღილებში. თავისი გენეზისით გრუნტის წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების გრუნტში ინფილტრაციის შედეგს და ცირკურილებს ძირითად ქანებში.

როგორც დასკვნის შესავალ ნაწილში იყო აღნიშნული უბანის მიმდებარე ტერიტორიიდან, თიხნაროვან გრუნტებიდან აღებული იყო დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში, რომელთა ფიზიკურ-მექანიკური თვისებების საანგარიშო მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგები კი კრებსით ცხრილში.

ცხრილი 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	თიხნარი	თიხა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1.86	1.80
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_d	გ/სმ^3	1.50	1.42
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2.71	2,74
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	24.55	26.54
5	ფორიანობა	n	%	38	43
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ.ნაწ.	0,81	0.93
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ.	34.60	40.67
8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ.ნაწ.	20.44	22.32
9	პლასტიკურობის რიცხვი	Ip	ერთ.ნაწ.	14.16	18.35
10	დენადობის ზღვარი	I_L	ერთ.ნაწ.	0.29	0.23
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ.ნაწ.	0.82	0.81
12	შიგა ხახუნის კუთხე	φ_1/φ_{11}	გრად.	19.5/16.5	
13	ხვედრითი შეჭიდულობა	C_1/ C_{11}	კგძ/სმ^2	0.21/0.415	
14	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	151	157
15	საანგარიშო წინაღობა	Ro	კგძ/სმ^2	2.1	2.46

ცხრილი №2

ცხრილ №2-ში მოცემულია უბანზე გავრცელებული კლდოვანი ქანის, ქვიშაქვების და არგილიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების საანგარიშო მაჩვენებლები. საანგარიშო წინაღობა Ro განისაზღვრება 5.6 კგძ/სმ^2

№	შ. № და ნიმუშის აღების ინტერვალი მ.	ბუნებრივი სიმკვრივე P გ/სმ^3	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე Rc მპა		დარბილების კოეფიციენტი
			ჰაერმშრალი	წყალგაჯერებული	
1	შ. №1	2.18	16.7	10.0	0.60

3. დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. „გრგ“-ს საპროექტო დოკუმენტაციისათვის გამოყოფილ უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება და დამაკმაყოფილებელ პირობებშია.

ს.ნ და წ 1.02.07-87 მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას - საშუალო სირთულის.

2. სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოკვლეული უბნის ამგებ გრუნტებში შეიძლება გამოვყოთ ორი საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტი (ს.გ.ე).

I ს.გ.ე –თიხნარები და თიხები (ფენა 2);

II ს.გ.ე – ოლიგოცენური ასაკის მუქი მოშავო არგილიტებისა და თხელშრეებრივი მონაცრისფრო ქვიშაქვების მორიგეობა. (ფენა 3).

3. გამოკვლეული უბნის ლითოლოგიურ-გეოლოგიური აგებულებიდან და „გრგ“-ს საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე დაფუძნება უნდა მოხდეს I ს.გ.ე თიხნაროვან (ფენა 2) და (ფენა №3) ძირითად ქანებზე.

4. ქვემოთ ცხრილ №3-ში მოცემულია ფენა №2-ის საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტის გრუნტების აუცილებელი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მიღებული ადრე ჩატარებული ლაბორატორიული გამოკვლევების პ.ნ. 02.01-08 საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) საფუძველზე.

ცხრილი №3

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		I სგე ფენა 2
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1.86
2	შინაგანი ხახუნის კუთხეφ^0	19.5
3	ხვედრითი შეჭიდულობა C კპა(კგძ/სმ^2)	21 (0.21)
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)	151
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა(კგძ/სმ^2)	210 (2.1)
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	3.0
7	პუასონის კოეფიციენტი μ	0.40

5. ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის არარსებობით.

6. სნ და წ - "სეისმომედეგიმშენებლობა" (პნ 01.01.-09) –ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით ქ. თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებიდან გამომდინარე იმავე კრებულის ცხრ. №1 – ის, მიხედვით განეკუთვნებიან II კატეგორიას.

სამშენებლო უბნის სეისმურობად მიღებული იქნას 8 ბალი.

7. უბნის ამგები გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-2-82-ის ცხრ. I-I-ის თანახმად განეკუთნებიან:

ა) ნაყარი (ფენა 1) –დამუშავების სამივე კატეგორიისათვის (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით - 1800 კგ/მ^3 (რ№24^ა).

ბ) თიხები და თიხნარები (ფენა 2) – ბულდოზერით – III ჯგუფს, ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით – IV ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1920 კგ/მ^3 (რ№8^დ).

შპს „გლობუსი" -ს

დირექტორი: /რ. ჭულუხაძე /

ინჟინერ-გეოლოგი: /თ. ჭულუხაძე/

შ. №1

ფენის №	ფენის ხიღრმე		სიმძლავრე მ			
	დან	მდე				
1	0	0.3	0.3	649.19 648.89		
2	0.3	1.1	0.8	648.09		

შ. №6

ფენის №	ფენის ხიღრმე		სიმძლავრე მ			
	დან	მდე				
1	0	0.5	0.5	649.20 648.70		
2	0.5	1.70	1.20	647.50		
3	1.7	2.20	0.50	647.00		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



პირობითი ნიშნები

შეთხვეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, საშენებლო ნაგვის ჩანართები.

ალუვიურ-დელუვიური თიხნარები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხები, ქვიშის და ქვიშების ჩანართები.

მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თიხქვიშაქვები

თხინვალა, ბურღების მიწა, ნაკ. №72.16.15.687

შ. №2

№ ფენის	ფენის ხიღრმე		სიმძლავრე მ			
	დან	მდე				
1	0	0.5	0.5	649.38 648.88		გამ. დამუ-
2	0.5	1.50	1.00	647.88		
3	1.5	2.00	0.50	647.38		

შ. №5

№ ფენის	ფენის ხიღრმე		სიმძლავრე მ			
	დან	მდე				
1	0	0.5	0.5	648.47 647.97		გამ. დამუ-
2	0.5	2.20	1.70	646.27		
3	2.20	2.80	0.60	645.67		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



თხინვალა, ბურღების მიწა, ნაკ. №72.16.15.687

შ. №3

ფენის №	ფენის ხელრმე ღან	ფენის ხელრმე მღე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ლითოლოგიური ქვიდი	ქანების ლითოლოგიური დახასიათება	ნიმუშების წვლის დროს გაჟონვის და ჩაშრობის ინტენსივობა გამ.	ღამე
1	0	0.5	0.5	649.08 648.58		ზედაპირი საფარი ნიადაგი		
2	0.5	2.20	1.70	646.88		ალუვიურ-დელუვიური თიხნარები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხები, ქვიშის და კენჭების ჩანართები.		
3	2.20	2.70	0.50	646.38		მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თხელშრევებრივი ქვიშაქვები		

შ. №4

ფენის №	ფენის ხელრმე ღან	ფენის ხელრმე მღე	სიმძლავრე მ	ზედაპირის და ფენის ძირის ნიშნული	ლითოლოგიური ქვიდი	ქანების ლითოლოგიური დახასიათება	ნიმუშების წვლის დროს გაჟონვის და ჩაშრობის ინტენსივობა გამ.	ღამე
1	0	0.7	0.7	648.21 647.51		ზედაპირი საფარი ნიადაგი		
2	0.7	2.80	2.10	645.41		ალუვიურ-დელუვიური თიხნარები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხები, ქვიშის და კენჭების ჩანართები.		
3	2.80	3.30	0.50	644.91		მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თხელშრევებრივი ქვიშაქვები		

გეოლოგიური ჭრილი
მასშტაბი 1:100



პირობითი ნიშნები

- მეოთხეული ნაყარი გრუნტი ნიადაგი, სამშენებლო ნაგვის ჩანართები.
- ალუვიურ-დელუვიური თიხნარები, მუქი მოყავისფრო-მოყვითალო თიხები, ქვიშის და კენჭების ჩანართები.
- მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თხელშრევებრივი ქვიშაქვები

ტოპოგრაფიული რუკა



პირობითი აღნიშვნები

ტ	საინჟინრო ქსელა	წყალი	წასაღო ფენა
ას	ასფალტირებული ზედაპირი	არხები	გასწორებული ბეტონი
წ	წყაროები	ასფალტის ბზა	ტანაბაში ხარი
სოფელი	სამშენი	ბეტონის ბზა	ცოცხალი ღობე
ელექტრო	ჩაბნარული ქსელა	რკინიზა	ხეები, პალმა, ბუჩქი
რკინიგზა		მიწაპარი ტროტუარი	ბორდიო
		ტროტუარი სამყაროდან	ბანაობის ძვ. გრძ
		ქვის ღობე	ელექტრო, საინჟინრო ბა
		ხეტიალის ღობე	ანძა, ანტენა
		ბეტონის ღობე	
		მავთულბადის ღობე	

Ltd GeoCAD		ქ. თბილისი, ილლიას ქ.14ა; ტელ: 579 03 33 22 geocad2014@Gmail.com	
დირექტორი		დ. ზედგინიძე	
შეასრულა		გ. წართლაძე	
დახაზა		დ. ზედგინიძე	
მისამართი	ქ. თბილისი, სოფ. ოხვიანალა - გუმრების მიწა		
მ 1:1000	GEO-CORS WGS 84 UTM T38		07.11.2020

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ბურღების მიწა ნაკვეთი 72.16.33.052 სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

შპს "ლისი ეკო ჰილს"-ის მომართვის საფუძველზე ჩვენს მიერ 2021 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი 72.16.33.052 -ზე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ნაკვეთი 72.16.33.052-ზე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გლობუსი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 მაისში . სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი თეიმურაზ ჭულუხაძე. გრუნტის თვისებების გამოკვლევები შესრულებულია სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის, ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------7 გვ.
2. მიწერილობა----------1 გვ.
3. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე----------4 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა----------1 გვ.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები----------1გვ.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი----------1 გვ.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობის საძირკველი გადაწყვეტილია, რკინა-ბეტონის ფილის მოწყობით ან წერტილოვანი რკინა-ბეტონის ბალიშებზე კოლონების ამოყვანით. კედლები მონოლითური კარკასი, აგურის ან წვრილი ბლოკების შევსებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 4 შურფი საერთო სიღრმით 3.3მ-ს სიგრძის. შურფიდან აღებული იქნა ნიმუში გრუნტის თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1 ფენა - მეოთხეული ნაყარი გრუნტი, სამშენებლო ნაგვის ჩანართები.
2 ფენა - ალუვიურ-დელუვიური თიხნარები, მოყვითალო თიხნაროვანი გრუნტი.
3 ფენა - კლდოვანი ქანის, თხელშრეებრივი ქვიშაქვები და არგილიტები.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური , გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოედნის სულ ზედა ფენა ნიადაგის ფენით არის წარმოდგენილი, იგი შენობის ფუძედ არ გამოდგება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა ოლიგოცენური ასაკის მუქი ნაცრისფერი არგილიტები და თხელშრეებრივი ქვიშაქვები, როგორც ავტორი აღნიშნავს, ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება არ არის მოსალოდნელი. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ბურღების მიწა ნაკვეთი 72.16.33.052 საცხოვრებელი სახლისმშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა.

ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01024010539

სახელი გიგა

გვარი წოსონწელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ---------

№ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ---------

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ------

ბ.ა. განყოფილების უფროსის ხელმოწერა

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г (протокол N 18)

Цохонелидзе Гуро Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

Москва 23 декабря 1975 г.

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30" ივნისის №8 გადაწყვეტილებით გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ინსტიტუტის რექტორი

ბ.ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

CV – ჭოხონელიძე გუგა

გვარი სახელი, ამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძე №10, ბინა 25 ტელ: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ გეოლოგიის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის – აკადემიკოსი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკის და ფუძე - საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფიულია "საქართველოს ლიოსისებული გრუნტები" (1976წ) და "ამიერკავკასიის ლიოსისებული გრუნტები " (1988წ) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის სოხუმის და ქ. ფოთის საინჟინრო "გეოლოგიურ პირობები გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. "გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და "საინჟინრო ნაგებობები" (2012წ.) ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01-2003წ. "შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგად; ინგლისური-ლექსიკონის დახმარებით.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა

საკადასტრო კოდი : 72.16.15.687
მისამართი:ქ.თბილისი , სოფელი თხინვალა
საკადასტროს ფართობი : 8750 კვ.მ

არქიტექტორი: მარიამ ზანდარაშვილი

დამკვეთი : " შპს ლისი ეკო ჰილს"
საიდენთიფიკაციო კოდი : 405410149

ქ.თბილისი 2021 წ
(01.30.2021)



საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000261

არქიტექტურის ფაკულტეტის 2016 წლის 04 აგვისტოს № 34 გადაწყვეტილებით მარი ზანდარაშვილს მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

დეკანი / Dean — ნოდარ ამაშუკელი / Nodar Amashukeli

რექტორი / Rector — გიორგი გუგუშვილი / George Gugushvili

თბილისი / TBILISI

20 რიცხვი/ day 12 თვე/ month 2016 წელი/ year

GEORGIA

Legal Entity of Public Law
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000261

By Decision № 34 of 04 August 2016 of the Faculty of Architecture Mari Zandarashvili was awarded the Degree of Bachelor of Architecture.

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART
* 203851545 *
ბ.ა. Seal

სარეგისტრაციო № 001159
REGISTRATION

ნახაზი: საკვალიფიკაციო ფურცელი			არქიტექტორი მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი № : 2	თარიღი : 01.30.2021	

1. თავფურცელი
2. საჯვალიფიკაციო გვერდი
3. სარჩევი.
4-7. სამართლებლივი აქტები
8. გამოყენებული ჰირობითი აღნიშვნები და შემოკლებები
9. განმარტებითი ბარათი
10. საწყისი საკადასტრო მონაცემები
11. სიტუაციური გეგმა მასშტაბი : 1-5000
12. ტოპოგრაფიული გეგმა მასშტაბი : 1-500.
13. საჰროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა მასშტაბი : 1-2000.
14-17. არსებული სიტუაციის ფოტოები
18. ტერიტორიულ სტრუქტურული ზონირება მასშტაბი : 1-2000.
19. არსებული ფუნქციური ზონირება მასშტაბი : 1-2000.
20. საჰროექტო არეალის კორექტირება ფართობის უცვლელად. მასშტაბი : 1-200.
21. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა მასშტაბი : 1-500.
22. საჰროექტო ფუნქციური ზონირება და გამოყენების სახეობები ; მიწის ნაკვეთის კ1 ;კ2; კ3 ის დადგენის გეგმა მასშტაბი : 1-500
23. მიწის ნაკვეთების შენობათა განთავსების გეგმა; ეტაჟები და რიგითობა; ავტომანქანის სადგომი ადგილების დადგენის ჰირობითი გეგმა. მასშტაბი : 1-500
24. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის განსაზღვრის სქემა. მასშტაბი : 1-500
25-44. მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი. მასშტაბი : 1-500
45-47. სქემატური ვიზუალიზაცია
48. ფოტომონტაჟი
49. "GWP "წერილი
50. "თელასი"- ს და შპს "ლისი ეკო ჰილსის" წერილი
51. შპს "თბილსერვის ჯგუფის" წერილი
52. შპს "თბილსერვის ჯგუფი" ნაგავსაყრელი კონტეინერები
53. ეტაჟები და რიგითობა

ნახაზი: სარჩევი		არქიტექტორი მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი № : 3	თარიღი : 01.30.2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108 - - -

19 მარტი

"- - -"- - - - - - - 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტი №21.331.371 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №0120333131-67 (№0120359547-67; №01210332435-67; №01210481624-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული გაწვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 21.331.371
17 / მარტი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 ნოემბერს N0120333131-67 (N0120359547-67; N01210332435-67; N01210481624-67) განცხადებით მიმართა ნინი ძელაძემ (პ/ნ 01401105842) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687; ფართობი: 8 750 კვ.მ). საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია და მისი რელიეფი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დახრილია. მიმდებარე ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს მშენებლობა, მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმების ფარგლებში. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა ხორციელდება ლ. კეცბაძის ქუჩიდან ი. კეცბაყმაძის I შესახვევის გაყოლით.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მოქმედი ფუნქციური ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შენარჩუნება და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ფუნქციით განვითარება, ხოლო გზისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 ის (ტზ 1) გავრცელება.

საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა იკეთება 40 საკადასტრო ერთეულად აქედან 18 საკადასტროზე დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1 ის (სზ-1) შესაბამისი რეგლამენტით განვითარება, ხოლო 2 საკადასტროზე მოეწყობა გზა და განვითარდება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ერთ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლთან ერთად დაგეგმილია ერთი კომერციული/ დამხმარე შენობის განთავსება.

საპროექტო წინადადებით გზისთვის გაძყოფილ მიწის ხაკვეთებზე გათვალისწინებულია ცალძხრივი მოძრაობის მისასვლელი გზის მოწყობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ და

ნახაზი: სამართლებლივი აქტები:			არქიტექტორი
			მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი № : 4	თარიღი : 01.30.2021	

სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უერთდება სააგენტოს მიერ დაგეგმილ სატრანსპორტო გზას და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ცენტრალურ გზას. ტროტუარის მოწყობა ხდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის სარჯზე. წარმოდგენილი ალბომის გეწ-გეგმაზე მე-13 მიწის ნაკვეთი იტვირთება დროებითი სერვიტუტით, რომლის სიგანეც ტზ-1-თან ერთად შეადგენს 3,5 მეტრს, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ დაგეგმილ სატრანსპორტო გზის მოწყობამდე საავტომობილო მოძრაობას.

შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 8 750 კვ.მ;

განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5;

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: კ-2=0,8;

მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4;

მაქსიმალური სართულიანობა 3 სართული.

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1);

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მოხაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუხაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის

23 თებერვლის N01210543176 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.15.687 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 მარტის N012106116 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება, მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგახვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0120333131-67 (N0120359547-67; N01210332435-67; N01210481624-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

ნახაზი: სამართლებლივი აქტები:			არქიტექტორი: მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი №: 5	თარიღი: 01.30.2021	

2. ზიხამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **012106116**
თარიღი: **02/03/2021**
პინი: **6773**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2021 წლის 17 თებერვლის N 01210481624-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ი.გეჭყმაძის I შესახვევის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გზას ტროტუარი არ გააჩნია, თუმცა გზის პარამეტრები იძლევა მათი მოწყობის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძიებს მიმართულებები მნიშვნელოვნად არ იტკირთება. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს რაიმე უარყოფით ზეგავლენას საგზაო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული, მოძრაობის ორგანიზების სქემები, რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება 1,5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. სოლო, ცალმხრივი გზა - არანაკლებ 3.5 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ნახაზი: სამართლებლივი აქტები:			არქიტექტორი: მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი № : 6	თარიღი : 01.30.2021	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი. **01210543176**
თარიღი: **23/02/2021**
პინი: **7953**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 17 თებერვლის №01210481624-67 განცხადება, რომელიც ეხება სოფელ თხინვალაში, ბურდების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.16.15.687; არსებული ფუნქციური ზონა: სზ-1; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-1 და ცზ-1) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის მითითებით (ცზ-1 = 167 მ^2) და საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება **99 ძირი** მწვანე ნარგავი. ამასთან, საპროექტო წინადადებებით არ არის მოთხოვნილი აღნიშნული მწვანე ნარგავების ადგილმონაცვლეობა (მოჭრა/გადარგვა). **შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნა არ გააჩნია.**

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილის გამწვანების პროექტის შეთანხმების საკითხზე, რომლის განვითარებაც იგეგმება საცხოვრებელი სახლებით, სზ-1-ის პარამეტრებით (კ-3 = 0.4), გადაწყვეტილება მიღებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით სამშენებლოდ განვითარებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტირების დროს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არ გააჩნია და კომპეტენციის ფარგლებში ითახსნება 72.16.15.687 საკადასტრო ერთეულზე დაძტკიცდეს ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დამატებით, გამწვანების დეტალურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე (ცზ-1-ის ნაწილისთვის), გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის ძწვანე სარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ძცეხარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 კვ მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, **გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროსის სახეობების და ხილ-კენკროვანი ხეებისა.**

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და სმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების გამომწვევი მიზეზი სწორად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და ნაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვაილობის პერიოდში ცერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატისა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო ფიტორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალეის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს **არანაკლებ 3.5 მეტრი,** სოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - **არანაკლებ 3 მეტრი,** სოლო ნერგის გარშემოწერილობა - **არანაკლებ 20 სანტიმეტრი.**

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ნახაზი: სამართლებლივი აქტები:			არქიტექტორი
მასშტაბი:	ფურცელი № : 7	თარიღი : 01.30.2021	მ.ზანდარაშვილი

კოდი	გაშიფვრა (ინგლისური)	დასახელება (ქართული)
M	Master Plan (MP)	მგგ
TSZ	Territorial-Structural Zoning	ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება
SZ	Sectorial Zoning	გეგმარების შემზღუდავი ზონირება დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე
FZ	Functional Zoning	ფუნქციური ზონირება
S	CRP Preplanning Study	გრგ გდ წინასაპროექტო კვლევა
T	CRP Terms of Reference	გრგ გეგმარებითი დავალება (გდ)
C	Construction Regulation Plan (CRP)	განაშენიანების რეგულირების გეგმა
CT	CRP Text	ტექსტური ნაწილი
CZ	CRP Zoning	ზონირების ნაწილი
TSZ	Territorial-Structural Zoning	ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება
SZ	Sectorial Zoning	გეგმარების შემზღუდავი ზონირება დარგობრივი კანონმდებლობის საფუძველზე
FZ	Functional Zoning	ფუნქციური ზონირება
CI	CRP Infrastructure	საინჟინრო ნაწილი
CV	CRP Various	თემატურ ნაწილი

გამოყენებული გრაფიკული აღნიშვნები

N	კატეგორია		განმარტება
1	**ხატულები**		ნახაზზე გამოყენებული მასშტაბგარეშე აღნიშვნები
2	**გეომეტრიული ფორმები**	ხაზოვანი	ნახაზზე გამოყენებული ხაზები
		პოლიგონალური	ნახაზზე გამოყენებული პოლიგონები
3	**აწოტაციები**		ნახაზზე გამოყენებული განმარტებები

ჰირობითი არნიშვნები

- გრგ-ს არეალი
- საკრებულო საკადასტრო საზღვარი
- უკანა ეზო 3 მ
- რეგულირების წითელი ხაზები
- დროებითი სერვიტუტი, ტზ-1 თან ერთად 3.5 მ რაც უზრუნველყოფს ჩარჩო გზების დასრულებამდე საავტომობილო მოძრაობას.
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
- საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)
- შენობის განთავსების ჰირობითი არეალი
- დამხმარე-ოპერაციული შენობის განთავსების ჰირობითი არეალი

ნახაზი: გამოყენებული ჰირობითი აღნიშვნები და შემოკლებები			არქიტექტორი
მასშტაბი:	ფურცელი № : 8	თარიღი : 01.30.2021	მ.ზანდარაშვილი

ტერიტორია მდებარეობს სოფელ თხინვალაში .

საკ კოდი 72.16.15.687.

საპროექტო ტერიტორიის ფართობი - 8750 კვ.მ.

მიწის ნაკვეთების საპროექტო რაოდენობა 20 ნაკვეთი - 18 ნაკვეთზე განთავსდება თითოეულზე 1 ინდ. საცხოვრებელი სახლი, ხოლო #1 ნაკვეთზე დამატებით შესაძლოა განთავსდეს კომერციული შენობა. 2 ნაკვეთი დათმობილია გზისთვის.

საპროექტო ზონირება : სზ-1 ;ტზ-1.

სზ-1 ით დასაშვები კოეფიციენტები:	ტზ- 1 ით დასაშვები კოეფიციენტები:
კ1-0.5	კ1 -
კ2-0.8	კ2-
კ3-0.4	კ3- 0,1

ნაკვეთების მინიმალური ფართობი : 400 დან 612 ჩათვლით

სართულიანობა : 2- 3 სართული, შესაძლებელია დამატებით მიწისქვეშა სართულიც.

არეალი წარმოადგენს სამშენებლოდ აქტიურად განვითარებულ ტერიტორიას, უშუალოდ მოსაზღვრედ გაცემულია გეგმარებითი დავალებები , განაშენიანების რეგულირების გეგმები და ნაწარმოებია მშენებლობები. აღმოსავლეთით გრგ-ს მიხედვით განსაზღვრულია საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) ხოლო მიწის ნაკვეთების კვადრატულობა შეადგენს 330-420 კვ.მ-ს.

საპროექტო ზონირებად გვსურს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) .

ვინაიდან ტერიტორია გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს განაშენიანების კონტურში , ასევე უშუალოდ მოსაზღვრედ მიმდებარე არეალი ჩამოყალიბებული და განაშენიანებულია, კანონმდებლობით არ ეკუთვნის მინიმუმ 600 კვ,მ განვითარების ვალდებულება.

სატრანსპორტო უზრუნველყოფა ხდება ლ.კვაჭაძის და ი. კეჭაყმაძის I შესახვევის ქუჩებიდან შესასვლელი გზებით.

ტერიტორიაზე დამტკიცებულია „ჩარჩო გეგმა“, რომელიც წამოადგენს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს და არ გააჩნია იურიდიული ძალა, მიუხედავად ამისა ჩვენ ვინაჩუნებთ სამხრეთ აღმოსავლეთის გზის გაგრძელების პერსპექტივას და ცალმხრივი გზებით ვაერთებთ ი.კეჭაყმაძის I შესახვევთან. გზის სიგანე 3,5 მ ხოლო ტროტუარი 1,5 მ თითოეულ მხარეს. რაც შეეხება ჩარჩო გეგმის დასავლეთ საგზაო მონაკვეთს , ჩვენ მას ვაუქმებთ ვინაიდან მისი განვითარების არ წარმოადგენს საჭიროებას .

ვინაიდან სამხრეთით ვიყენებთ ჩარჩო გეგმის გზას, სანამ აღნიშნული გზა შეძლებს ფუნქციონირებას (სამხრეთით გაცემულია გდ და როცა შეთანხმდება გრგ) მანამ რომ მოხდეს ჩვენს საპროეექტო არეალზე წრიული მოძრაობა , ამისთვის სამხრეთით სატრანსპორტო ზონასთან ერთად განვსაზღვრავთ დროებით სერვიტუტს , რისი დახმარებითაც საავტომობილო გასავლელი იქნება 3,5 მ.

ნაკვეთებს უდგინდება რეგულირების წითელი ხაზები, აღმოსავლეთით და დასავლეთ სექტორებს უკანა ეზო.

ნაკვეთებს უდგინდება რეგულირების წითელი ხაზები, აღმოსავლეთით და დასავლეთ სექტორებს უკანა ეზო.

სამშენებლოდ შეზღუდულ ტერიტორიას წარმოადგენს სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1 სადაც დასაშვებია გზებისა და ტროტუარების მოწყობა , ასევე ნაკვეთებს დადგენილი აქვთ უკანა ეზოები. შესაბამისად ცალკე რუკად აღარ ხდება აღნიშნულის გამოტანა (იხ. დეტალური რეგლამენტი).

ტერიტორიაზე არ ფიქსირდება შეზღუდვები, საპროექტო # 1 ნაკვეთზე მდებარეობს ელექტრო სატრანსფორმატორო , რომელიც არის ჩვენი საკუთრება და ემსახურებოდა სასათბურე შენობას , შესაბამისად მოხდება აღნიშნული სატრანსფორმატოროს დემონტაჟი.

საპროექტო ნაკვეთის ჩრდილო დასავლეთით მცირედით ვაკორექტირებთ არეალის კონტურს რადგან ხდება სამეზობლო საკადასტროებთან გადაფარვა (მიახლოებით 5 კვ.მ ფართობი სიგანე 7-15 სმ.)

ტერიტორიაზე არ არსებობს ტექტოგენური და ბუნებრივი საფრთხეები.

ეტაპები და რიგითობა:

I ეტაპი - ინდივიდუალური საცხოვრებელების, კომერციული შენობების და მათი დამხმარე შენობა ნაგებობების აშენება და შემოღობვა (ცალკე ქვეეტაპებად ვერ მოხდება გამოყოფა ვინაიდან ამ ეტაპზე მათი აშენების რიგითობა განსაზღვრული არა არის)

I I ეტაპი - სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობა (შესაძლებელია I ეტაპის დასრულებამდე აღნიშნული ეტაპის სამუშაოების დაწყება და დასრულება).

ტერიტორიის მიმდებარედ გადის კანალიზაციის ქსელი რომელის გენგეგმა არ მოგვაწოდა gwp მ , განგვისაზღვრა მხოლოდ დაერთების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე მოხდება აღნისნულ ქსელზე დაერთება ან მოეწყობა ალტერნატიული გამწმენდი ნაგებობები, ანტისეპტიკი ან ბიოტალი.

ნახაზი: განმარტებითი ბარათი			არქიტექტორი
			მ.ზანდარაშვილი
მასშტაბი:	ფურცელი № : 9	თარიღი : 01.30.2021	

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **72.16.15.687**
განცხადების ნომერი: **882020770801**
მომზადების თარიღი: **22/10/2020**
ნაკვეთის დანიშნულება: **სასოფლო-სამეურნეო**
ფართობი: **8750 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მიმდებარე ნაკვეთობა	05/25 შენობა/ნაგებობა	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	ხაზობრივი ნაგებობა	ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 72.16.15.687**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882020920736 - 03/12/2020 14:33:52	**03/12/2020 15:31:34**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
მცხეთა	ლისი		
72	**16**	**15**	**687**

მისამართი: ქალაქი თბილისი , სოფელი თხინვალა , ბურლების მიწა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 8750.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**72.16.15.410; 72.16.15.411;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020837127 , თარიღი 04/11/2020 12:15:35
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/11/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:04/11/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ლისი ეკო ჰილს" , ID ნომერი:405410149

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "ლისი ეკო ჰილს"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020837127 თარიღი 04/11/2020 12:15:35 **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/11/2020**	**გამყიდველი: მაკა გოცირიძე** P/N: 01017002401; საგანი:დაზუსტებული ფართობი: 8750.00 კვ.მ. ; საბოლოო თარიღი:30/04/2021; ხელშეკრულების 3.2 და 2.2. პუნქტის შესაბამისად, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე , მყიდველი უფლებამოსილი არ არის, გამყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერი ფორმით(მათ შორის და არა მხოლოდ, გაყიდვის, ჩუქების, საკუთრებაში გადაცემის, გაცვლის, კაპიტალში შეტანის ფორმით) განკარგოს და /ან უფლებრივად დატვირთოს (მათ შორის და არა მხოლოდ, იპოთეკით, დამატებითი ვალდებულებებით, ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებით) მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.; **გადახდის განვადებით უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი04/11/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

